

პიროვნული უფლებები

გიორგი მესხი

ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

პიროვნების დაბადება (მე-ცნობიერება)



პიროვნება და საზოგადოება



ადამიანის უფლებები



- ▶ კონსტიტუცია;
- ▶ „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი...“
- ▶ თავი მეორე - ადამიანის ძირითადი უფლებები;
- ▶ -ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა;
- ▶ -სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები;
- ▶ -თანასწორობის უფლება;
- ▶ -პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;
- ▶ -ადამიანის თავისუფლება...

პიროვნული უფლებები

- ▶ ადამიანის ინდივიდუალობის (იდენტობის) გამომხატველი აბსოლუტური უფლებები;
- ▶ მიზანი: ადამიანის პიროვნების სფეროში არაკანონიერი ჩარევის აღკვეთა;
- ▶ ადამიანის ღირსების, პატივისა და ინდივიდუალობის ხელშეუხებლობა.

პიროვნული უფლებები

- ▶ პიროვნული უფლება გაუსხვისებელი და შეუზღუდავია;
- ▶ ის არ შეიძლება იყოს სამართლის ობიექტი;
- ▶ უფლებაუნარიანობა - უფლებების ქონის უნარი;
- ▶ პიროვნული უფლებები დაცულია ადამიანის გარდაცვალების შემდეგაც.

ადამიანის ღირსება და პიროვნული უფლება

- ▶ ზოგადი პიროვნული უფლება და ცალკეული პიროვნული უფლებები;
- ▶ ზოგადი პიროვნული უფლება - ადამიანის ინდივიდუალობასთან დაკავშირებული ყველა უფლების გამაერთიანებელი;
- ▶ ცალკეული პიროვნული უფლებები: სახელი, გამოსახულება, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია (სკ 18);
- ▶ სკ მე-18 მუხლი - ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის საფუძველი.



სახელის უფლება

- ▶ სახელი - ადამიანის იდენტიფიკაციის ძირითადი საშუალება;
- ▶ სახელი მოიცავს სახელს და გვარს;
- ▶ სამოქალაქო სახელი - სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული სახელის უფლება (განსხვავებით ნათლობის, კნინობით-ალერსობითი და სხვა სახელებისგან);
- ▶ სავაჭრო სახელი, ფირმა (Giorgio Armani), ფსევდონიმი და სხვ.
- ▶ სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება და როგორც არამატერიალური სიკეთე (გადაცემაუუნარო);
- ▶ სახელის შექმნის საფუძვლები: დაბადება, დაქორწინება, ნებაყოფლობით შეცვლა.



საცხოვრებელი ადგილი



- ▶ პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალება;
- ▶ ადგილი, რომელსაც საცხოვრებლად ვირჩევთ (სკ 20);
- ▶ და რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს;
- ▶ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (განსხვავება).

გამოსახულების უფლება

- ▶ პირის უფლება, მხოლოდ მისი თანხმობით მოხდეს საკუთარი გამოსახულების საჯაროდ ჩვენება;
- ▶ გამონაკლისები (სკ 18.5):
- ▶ საზოგადოებრივი აღიარება;
- ▶ დაკავებული თანამდებობა;
- ▶ მართლმსაჯულების/პოლიციის მოთხოვნები;
- ▶ სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურული მიზნები;
- ▶ ფოტოგადაღება/ვიდეოგადაღება საზოგადო ვითარებაში;
- ▶ პოზირებისთვის მიღებული საზღაური.



პატივი და საზოგადოებრივი სახე

- ▶ პატივის დაცვა - ადამიანის უფლება, უსამართლოდ არ იქნას წარმოდგენილი საზოგადოების წინაშე უარყოფით ქრილში;
- ▶ საქმიანი რეპუტაცია - საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისების შეფასება;
- ▶ ადამიანი თავად წყვეტს, რა სახით წარსდგეს საზოგადოების წინაშე.

ინტიმური და პირადი სფერო

- ▶ ინტიმური სფეროს დაცვა - განდობილი პირადი აზრებისა და განცდების მესამე პირისთვის გადაცემის აკრძალვა;
- ▶ პირადი სფეროს დაცვა - „საკუთარ თავთან დარჩენის“, განმარტოების უფლება;
- ▶ სფეროები: ოჯახი, სამუშაო ადგილი, საზოგადოებრივი ადგილიც - თუ პირი დარწმუნებულია თავის მარტოობაში.



აზრის ფორმირებისა და გამოხატვის უფლება

- ▶ აზრის/შეხედულების ფორმირება;
- ▶ აზრის/შეხედულების გამოხატვა;
- ▶ აზრის/შეხედულების/ინფორმაციის გავრცელება;
- ▶ კრიტიერიუმი - ჭეშმარიტება (დაცვის ღირსია არა ყველანაირი, არამედ სწორი ინფორმაცია);
- ▶ გამოხატვის უფლება და საავტორო უფლება.



შეკითხვები?

- ▶ george.meskhi@law-school.de